ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7251517

ნომერი: AR11061023

თარიღი : 08.10.2024

გაცემის თარიღი : 16.10.2024

გაცნობის თარიღი : 16.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი II , N 16 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , II მ/რ , N 16 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი II , ნაკვეთი 21/014;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ფიქრია მაღრაძე პ/ნ 01015021375
- თბილისი, გლდანი, ილორის ქ. N 10

ორგანიზაცია:
- შპს მწვანე სახლი ვაზისუბანი კოდი: 400305807

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 ოქტომბერს №AR11061023 განცხადებით მომართა ფიქრია მაღრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.07.021.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 სექტემბრიდან 2026 წლის 11 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, განმცხადებელს, სურს ბრძანებაში ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 268.6 კვ.მ.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებით შეთანხმებულ +0.10 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს 18 ღია ავტოსადგომი და მათი საერთო ფართობი შეადგენს 268.6 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 268.6 კვ.მ.

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 სექტემბრის №7212798 ბრძანებასთან ერთად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.